

საქართველოს კანონი

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30, 2005 წელი, მუხ. №186) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-30 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

8. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონების ფარგლებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შინაარსთან, მოცულობასა და შემუშავების წესთან დაკავშირებული დამატებითი პირობები დგინდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ბ) 32-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

5. შეუსაბამო შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭების სხვა პირობები განისაზღვრება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

გ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხლი 35-ის მე-2 პუნქტი, ხოლო პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისას სავალდებულოა კანონმდებლობით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი ფასეულობებისა და სხვა დამცავი ზონებისა და მათი რეჟიმების გათვალისწინება.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.